# „საქართველოში ხელისუფლება რკინიგზაში გამდიდრებულ ხალხს უჭირავს!“




თემურ შაშიაშვილი:

# რაც საქართველოს რკინიგზაში არსებული კორუფციის არნახულ მასშტაბებზე ვთქვით, ყველაფერი დადასტურდა!

***პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე და მეცნიერთა კონგრესის ერთ-ერთი დამფუძნებელი და იმერეთის ლეგენდარული გუბერნატორი ТЕЙМУРАЗ***

***თეიმურაზ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილს ფულის შოვნის ძალა აქვს, თუმცა, არ გააჩნია ნებისყოფა, კორუფციული მართვის სისტემა დაანგრიოს:***

— რამდენიმე თვის წინ ძალიან საფუძვლიანი და სკრუპულოზური საუბარი გვქონდა **საქართველოს რკინიგზაში** მიმდინარე პროცესებსა და კორუფციის არნახულ მასშტაბებზე. ფაქტობრივად, რაც მაშინ ვთქვით, ყველაფერი დადასტურდა. მართალია, სიმართლის გაცხადებისათვის ბევრი მოგვიქსიეს, მაგრამ უკვე ყველაფერი ხელისგულზეა, ხელისუფლებაც აღარ მალავს და გამოძიებაც დაწყებულია! იმის განმეორება, რაც უკვე ვთქვით, ნამდვილად არ ღირს. უამრავი ადამიანი კმაყოფილი დარჩა იმ ინტერვიუთი, თუმცა, ბევრმა ჩათვალა, რომ ვაჭარბებდით. სამაგიეროდ, ერთმა რიგითმა რკინიგზელმა ხმა ამოიღო და გვითხრა — „ზღვაში წვეთია, რასაც თქვენ წერთ!“ დღეს დავურეკე ამ პიროვნებას და მიმდინარე მოვლენებზე ვკითხე. მან მიპასუხა: **სასაცილოა! რკინიგზაში გაცილებით რთული მდგომარეობაა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენიაო!**

**— ამ პიროვნების ვინაობას დაასახელებთ?**

— არა, ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. **მან მირჩია, ერთ ძალიან სერიოზულ ექსპერტთან გამევლო კონსულტაცია. სწორედ ამ ექსპერტმა მითხრა:**

**სასაცილო ის არის, რომ რაც თქვენ თქვით და გამოაქვეყნეთ, 20 წელია, ამის თაობაზე როგორც ეკონომიკური ექსპერტი, მთელ ხელისუფლებას მასალებს ვუგზავნი.** თავის დროზე **მამუკა ბახტაძემ** მიიწვია თავისთან... მასალები დავალაგე, ანალიზი გავაკეთე და ვუთხარი — დაქცეულია საქართველო, რადგან ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ანტიქართულადაა მომართული და შესაბამისი ღონისძიებებია გასატარებელი-მეთქი! მიუხედავად ჩემი მცდელობისა, აბსოლუტურად არავითარი შედეგი ამ აქტიურობას მოჰყოლია და სასაცილოა ფიქრი, **თითქოს ხელისუფლებამ ეს არ იცოდა!**

დიახ, ხელისუფლებას აქვს მასალები, როგორ ინგრევა და იქცევა მთელი რიგი დარგები და როცა დასჭირდებათ, მაშინ ჩამოიღებენ თაროდან მაკომპრომეტირებელ მასალებს... ჩვენ შევთანხმდით, რომ კორუფცია იმიტომ კი არ არის საშიში, რომ ვიღაც ფულს შოულობს, არამედ იმიტომ, რომ მან ქვეყანაში პოლიტიკური კლანები შექმნა! **საქართველოში ხელისუფლება რკინიგზაში გამდიდრებულ ხალხს უჭირავს! არ აქვს მნიშვნელობა, ეს ხალხი უშუალოდ მუშაობდა თუ არა რკინიგზაში, მთავარია, რომ რკინიგზიდან იკვებებოდა!**

**— ძალიან დამაინტერესეთ, მაინც ვინ არის ეს ექსპერტი?**

— ჯერ არ მაქვს მისგან მიღებული სახელის გასაჯაროების ნებართვა! ცნობისათვის, **მე და ეს პიროვნება მომდევნო კვირაში ერთმანეთს ვხვდებით და გპირდებით, რომ ამ პიროვნებას შეგახვედრებთ!** მთავარი, რაც მინდა გითხრათ, სხვა რამეა: დაახლოებით 15-20 წლის წინ **გია ყრუაშვილიც** მესაუბრებოდა ყველაფერ იმაზე, რაზეც დღეს ხაზგასმით ლაპარაკობს ხელისუფლება. მაშინაც აგზავნიდა ყოფილი მემანქანე **ყრუაშვილი** დოკუმენტებს და წერდა, რომ საქართველოს რკინიგზაში უმძიმესი მდგომარეობა იყო.

**დღეს უკვე ყველა ლაპარაკობს ერთ ფაქტზე – რკინიგზაში დირექტორატი იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მერე ყველაფერს ამოწმებს და ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე წლებია არის **კოკა გუნცაძე...** მოკლედ, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცის! იმ ექსპერტმა, როცა ჩვენი ინტერვიუ წაიკითხა, დამირეკა და მითხრა — მოხიბლული ვარ, მაგრამ მთავარი სათქმელი წინ არისო!

**— ნუთუ მხოლოდ 17 მილიონის მიტაცებაზეა ლაპარაკი?**

— უბრალოდ მეცინება, როცა ვუყურებ, როგორ გამოაშტერეს ხალხი! **განა ხელისუფლებამ საქართველოს რკინიგზაში გახურებული კორუფციის შესახებ ყველაფერი მშვენივრად არ იცოდა?!** მე კი მადლობას ვწირავ უფალს, რომ მომცა ძალა, რომ ჯერ კიდევ

## „ბიძინა ივანიშვილი შევარდნაძის, სააკაშვილისა და მის მიერვე შექმნილი მაფიოზების ტყვეობაშია!“

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**ბართლომეოს პირველი**
*მსოფლიო პატრიარქი*



ვერანაირი არგუმენტი ვერ გაამართლებს ამ ბარბაროსულ, გამანადგურებელ თავდასხმას ისეთ წმინდა სალოცავზე, როგორიც **კიევ-პეჩორის ლავრაა.**

„ახალი თაობა“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელო — ძლიერი საქართველოს“ წევრი*



მაცნობეს, რომ ჩემი შეურაცხყოფის საბაბით შსს-მ აღძრა საქმე **ვინმე გაბაძის** წინააღმდეგ — **მე არ ვუჩივი არავის, ამ ადამიანს ისიც ეყოფა, 2026 წელს კიდევ „ქოცი“ რომ არის** — პატივს ვცემ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას!

„ინტერპრესნიუსი“

**ნუგზარ წიკლაური**
*„ოპოზიციური ალიანსის“ წევრი*



ერთადერთი ენა, რომელიც ე.წ. ხელისუფლებას ჩვენთან სალაპარაკოდ დარჩა, არის ხელკეტის, ძალადობის, დამცირების ენა. **საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა გაერთიანდეს მიზნის გარშემო, რომ არ მივცეთ სადისტების ხელისუფლებას ჩვენი მართვის შესაძლებლობა!**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



ოპოზიციაში აჯაფსანდალია — **მერე რა, რომ ახლა ოთახში სხედან, ისევ „ფანჩატური 3“-ია და გიჟების დოღია!**

„აიპრესი“

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



წარმოიდგინეთ, **რა დაემართებოდა საქართველოს,** ხელისუფლებაში რომ რადიკალური ძალები აღმოჩენილიყვნენ, **იმაზე უარესი ვითარება იქნებოდა, ვიდრე უკრაინაში.**

„აიპრესი“




## თემურ შაშიაშვილი:

# ამათ აწყობთ კორუმპირებულები, ხელოვნურად ხდიან ადამიანებს კორუმპირებულს, რათა მუდმივად პირში წყალჩაგუბებული ჰყავდეთ!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

1997 წლის 13 ივნისს პარლამენტის ტრიბუნიდან მეთქვა: **საქართველოში სისტემაა კორუმპირებული, სისტემაა ავადმყოფი, ნუ ებრძვით პიროვნებებს, თავად სისტემა შეცვალეთ-მეთქი!** მაშინ „მოქალაქეთა კავშირს“ ვუთხარი, რომ მათ შექმნეს კორუფციული და ავადმყოფი სისტემა. მას შემდეგ ეს სისტემა არავის შეუცვლია!

**— გამოდის, რომ ისევ შევარდნაძის სისტემა მართავს ქვეყანას?**

— დიახ, ქვეყანას ისევ შევარდნაძის მიერ შექმნილი სისტემა მართავს! ერთხელ თავად **შევარდნაძემ** მითხრა **ხათუნა გოგორიშვილზე** — ამათ გაყალბების ისეთი მეთოდები მოიგონეს, მგონი, მსოფლიო ამათგან ისწავლის არჩევნების გაყალბებასო! ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც იმაზე კი არ იფიქრეს, ქვეყანაში სიტუაცია შეეცვალათ, არამედ იზრუნეს, როგორ შეენარჩუნებინათ მდგომარეობა და გადაერჩინათ თავი. დღევანდელი ხელისუფლება გარიგებაშია მაფიოზებთან! **ბიძინა ივანიშვილი შევარდნაძის, სააკაშვილისა და მის მიერვე შექმნილი მაფიოზების ტყვეობაშია!** ეს არის კატასტროფა! საქართველოში საქმე რომ ცუდად არის, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცის, მაგრამ ლოგიკური კითხვა ჩნდება: **რატომ წამოწიეს მაინცდამაინც ახლა რკინიგზის თემა?**

**— მართლაც, თუ ეს ყველაფერი ამდენი ხანი იცოდნენ, რას ელოდებოდნენ?**

— ნებისმიერ პიროვნებაზე, ვისაც ხსნიან ან იჭერენ, უნდა გაკეთდეს ანალიზი — ვის დროს დაინიშნა თანამდებობაზე? რეალურად, ეს ერთი პოლიტიკური მაფიაა.

### პარტიის შიგნით ერთი პოლიტიკური მაფია ჭამს მეორეს, ხოლო კორუფცია საქართველოში პოლიტიკური მონობის მთავარი საფუძველი გახდა!

ამათ აწყობთ კორუმპირებულები, ხელოვნურად ხდიან ადამიანებს კორუმპირებულს, რათა მუდმივად პირში წყალჩაგუბებული ჰყავდეთ. კორუფცია არის ყველგან, ხალხი „კონვერტირებულია“... **ხედავთ, რა უქნეს იმ პიროვნებებს, რომლებიც ხელისუფლებას აქებენ? კორუმპირებულებად და მონებად აქციეს!**

რამდენიმე ე.წ. ჟურნალისტი, რომელიც დღეს ხელისუფლებას თავგამოდებით აქებს, **ბიძინა ივანიშვილს** აგინებდა... მაგრამ მისცეს ფული, დაარიგეს ის 1200 კონვერტი, რომელიც **ლილუაშვილის ნათესავის ბინაში** იპოვეს და, როგორც გითხარით, აქციეს მონებად! გარკვეული პერიოდი ძალიან სერიოზულად ჩავუჯექი საქმეს, უამრავი ახალი რამ წავიკითხე და შესაბამისი ანალიზიც გავაკეთე. აი, ორ-სამ ფაქტს გეტყვით: გასულ წელს მხოლოდ იტალიიდან ოფიციალურად შემოვიდა 500 მილიონი ევრო!

**— ქართველი ემიგრანტებისგან?**

— დიახ, ემიგრანტებისგან! ამას ერთი იმდენიც უნდა მიამატოთ, რაც უშუალოდ ჯიბით შემოაქვთ... მოგეხსენებათ, 10 000 ევროს შემოტანა ჯიბით თავისუფლად შეიძლება... ანუ, უნდა ჩავთვალოთ — როგორც მინიმუმ, 1 მილიარდი ევრო მარტო ერთი სახელმწიფოდან შემოვიდა!

**— ერთი ამდენი, ალბათ, საბერძნეთიდანაც შემოვიდოდა!**

— საბერძნეთი, გერმანია, თურქეთი, ამერიკა... ფაქტობრივად, ჩვენ რეალური ეკონომიკა არ გვაქვს და ფული შემოაქვთ ქართველ ემიგრანტებს. მაგრამ ახლა მე მინდა გითხრათ ის, რასაც საქართველოში ხალხს უმალავენ! ორი დღის წინ ვლადიკავკაზში, ერთ-ერთ სუპერმარკეტში ვიყავი, სადაც უმაღლესი ხარისხის პროდუქტები იყიდება. ყველამ იცის, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე საუკეთესო ლაბორატორია სწორედ ამ სუპერმარკეტში აქვთ. იქ ყველაფრის შემოწმებაა შესაძლებელი... აი, ეს არის დამოკიდებულება საკუთარი ხალხისადმი — ყველაფერი ბუნებრივია! თუმცა, მთავარი მინდა ვთქვა: **250 ლარად მე ვიყიდე ის, რასაც დღეს თბილისში, „აგროჰაბში“ 450 ლარად ვერ იყიდი.** მზად ვარ, ვინც ამაზე დავობს, ვანახო ქვითარი, თუ რა ღირდა უმაღლესი ხარისხის საქონლის ხორცი, ქათმის ხორცი, რაში რა გადავიხადე! ხალხს აცხოვრებენ სიცრუეში, ტყუილში. მეორე ფაქტს დავასახელებ: **ბათუმში ნებისმიერ ბრენდულ სასტუმროში ორი ღლით სტანდარტული ნომრის ფასი თურქეთში მაღალი კლასის სასტუმროში ერთკვირიანი ტურის ტოლფასია!** თანაც თურქეთში შეგიძლია, სასტუმროში მთელი დღის განმავლობაში რაც გინდა მიირთვა, რაც საქართველოში არ არსებობს! აღარაფერს ვამბობ მომსახურების კლასზე, რომელიც თურქეთში გაცილებით მაღალია. კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვან: პაკისტანისა და ბევრი სხვა ქვეყნის მოსახლეობა 100 და 130 მილიონს ითვლის და მთელ მსოფლიოში არიან მიმოფანტული... ამ ქვეყნებიდან წასული ხალხი არ რიცხავს იმდენს თავიანთ სამშობლოში, რამდენსაც უცხოეთში წასული ქართველები საქართველოში აგზავნიან. რაშია საქმე, ხალხო?

**— ამ ფონზე ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში საშუალო ხელფასი 2500-3000 ლარია!**

— 15 ათასი ლარი რომ აქვს მინიმუმ დეპუტატს და თქვენ რომ 1000 ლარს იღებთ, საშუალო ხელფასი მართლაც 8000 ლარი გამოდის. როდესაც ჯამში თავისი ყველა შეღავათით, „სემეკის“ თავმჯდომარე თვეში 50 ათას ლარს ღებულობს და ვიღაც იღებს 1000 ლარს, საშუალო ხელფასი ამ შემთხვევაშიც 30 ათას ლარამდეა, მითუმეტეს, როცა სახელმწიფო მოხელეების რაოდენობა საქართველოში კატასტროფულად არის მომატებული!

### ქვეყანაში ეკონომიკა არ არსებობს, სამართალი არ არსებობს, ხოლო მმართველობა კორუმპირებულია! ხელისუფლებას არ აწყობს მოაზროვნე საზოგადოებასთან ურთიერთობა, მას დესტრუქციულ ძალებთან ურთიერთობა სურს!

ნახეთ, რა სიმდიდრეს ფლობენ ე.წ. „ოპოზიციის“ ლიდერები! მარტო **ივანიშვილი** კი არა, სამი-ოთხი ოპოზიციონერი ლიდერი ფლობს თურმე ბიტკოინებს და მილიონერია! **მთელი პოლიტიკური სივრცე და, მათ შორის, ოპოზიციაც მოცულია კორუფციით! ბიძინა ივანიშვილი** არის ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია, დაშალოს ეს კორუფციული სისტემა! მართალია, ვიღაცები დაიჭირა, მაგრამ მთავარი და უპირველესი მართვის სისტემის შეცვლაა!

**— მერედა, ივანიშვილი ამ კორუფციულ სისტემას დაშლის?**

— ვისურვებდი, რომ დაშალოს... **ბიძინა ივანიშვილს** ფულის შოვნის ძალა აქვს, თუმცა, არა აქვს ნებისყოფა, კორუფციული მართვის სისტემა შეცვალოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

> **„რამდენიმე ე.წ. ჟურნალისტი, რომელიც დღეს ხელისუფლებას თავგამოდებით აქებს, ბიძინა ივანიშვილს აგინებდა... მაგრამ მისცეს ფული, დაარიგეს ის 1200 კონვერტი, რომელიც ლილუაშვილის ნათესავის ბინაში იპოვეს და აქციეს მონებად!“**

## კვირგვინოსნები

**გოჩა ჭანტურია**
*„სოციალური დემოკრატიისთვის“ წევრი*



**ქვეყანაში სიძულვილს „ქართული ოცნება“ ნერგავს.** საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების გახლეჩას უწყობს ხელს.

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ქვეყანაში ისეთი დიდი ლუსტრაციის პროცესია, რომ უკვე სიტყვები და შეფასებები უსაგნოა. ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. **ოპოზიცია იქნება თუ ხელისუფლება, ყველა იმის მიხედვით აგებს პასუხს, რა წილიც ეკისრება ამ ქვეყნის უბედურებაში.**

„ახალი თაობა“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



რა გამართლება აქვს იმას, რომ დაკავებულების წამება, თურმე, 2022 წელს მოხდა? **2022 წელს „ქართული ოცნება“ არ იყო ხელისუფლებაში?** ყველას გრცხვენოდეთ, ვინც ამ ფაქტის „გათეთრებას“ ცდილობთ! **მთელი ხელისუფლებაა ამ ძალადობაზე პასუხისმგებელი.**

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ჩვენთან საპროტესტო მუხტის მოცულობა უკვე ისეთ ნიშნულზეა, რომელსაც რეალურად შეუძლია, ნებისმიერი ხელისუფლება წალეკოს!**

„კვირის პალიტრა“